



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



47-07-4-201808311643

31/08/2018



N 47

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №47
2018 წლის 31 აგვისტო
ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული შეჯარისხული მინიჭებული მოვლისა და
აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „ვ“ ქვემოთქმების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2
ნაწილების, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-20 და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვემოთქმების შესაბამისად,
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენის:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული შეჯარისხული მინიჭებული მინიჭების მოვლისა და აღდგენის წესი (დანართი №1).

მუხლი 2. დამტკიცდეს შეჯარისხული მინიჭების აღრიცხვის უწყისი (დანართი №2).

მუხლი 3. დამტკიცდეს დამზადებული შეჯარისხული მინიჭების მიღება-ჩაბარების დოკუმენტი (დანართი №3)

მუხლი 4. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე მაღადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული შეჯარისხული მინიჭების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №13 დადგენილება (ვებგვერდი 30/03/2016წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.016264).

მუხლი 5. დადგენილების მოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
შესინ ტახიძე

საკრებულოს მავლენ დომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესი

მუხლი 1. წესის მიზანი

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის (შემდგომში „წესი“) მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავების ეკოლოგიური წონასწორობის, ხეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგრადირეობის შენარჩუნების. მაღალპროდუქტული კორომების ჩამოყალიბების, კლიმატური პირობების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების თავიდან აფილების უზრუნველსყოფად მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება.

2. წესი გამსაზღვრავს:

- მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესს;
- მოსაჭრელი ხეების გამოყოფისა და მონიშვნის წესს;
- მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისის წარმოების წესს;
- მოპოვებული (ფუნქციადაკარგული) მერქნის გასხვისების წესს.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია მწვანე ნარგავების მოვრა, გარდა ამ წესით დადგენილი გამოწვევისი შემთხვევებისა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. აღდგენა – ღონისძიება, რომლის მიზანია მწვანე ნარგავებით დაუფარავ ფართობებზე, ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, გაშენება და ნარგავების მრავალწლიანი მოვლა.

2. აღრიცხვა – მწვანე ნარგავების ინვენტარიზაცია.

3. გადამელვა – ხის მთლიან ვარჯზე ან მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება, ან მთლიანად მოშორება (განშტოებების გადამელვა). იმ შემთხვევაში, თუ ვარჯი მთლიანად იჭრება, ისე რომ მხოლოდ ხის დერი რჩება, დერის გადამელვა.

4. გაშენება – მწვანე ნარგავებით დაუფარავი ტერიტორიების გამწვანება.

5. დაინტერესებული პირი – ქრის განხორციელებაზე დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი.

6. ვარჯის ფორმირება – ხეებზე ქვედა ტოტების შექრა, სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტის გარეშე.

7. ზეხმელი ხე – ზრდაშეწყვეტილი ზეზემდგომი გამსმარი ხე.

8. კორომი – მომიჯნავე ტერიტორიისგან შემადგენლობითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდებული მწვანე ნარგავების ნაწილი.

9. მწვანე ნარგავები – მერქნიანი (ხე, ბუჩქი) და არამერქნიანი მცენარეები, მათი პროდუქტები.

10. მცენარის სახეობა – მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ტაქსონომიური ერთეული.

11. მოსაჭრელი ხეების მონიშვნა – მოსაჭრელი ხეების გამოჯვრა მოსაზღვრე ტერიტორიისგან, მოსაჭრელი ხეების აღრიცხვა და მონიშვნა, მოსაჭრელი ხეების აღრიცხვის უწყისის შედგენა (შემდგომში – აღრიცხვის უწყისი), რომელიც წარმოადგენს მოსაჭრელი ხეების მოპოვების დაწყების განშაზღვრელ დოკუმენტს.

12. მოპოვება – ზეზემდგომი ხის მოჭრა და/ან ძირნაყარი მერქნის გამოზიდვა.

13. მოსაქრელი ხის ერთეულად მონიშვნა – ერთეულად მდგარი ხე-ბუჩქების აღრიცხვა, მონიშვნა და აღრიცხვის უწყისის შედეგება.
14. ნარჩენი – ხის მოპოვების შედეგად დარჩენილი ქერქი, ნაფოტი, ნახერხი, შემადგამოუსადეგარი ტოტები.
15. ნერგი – სანერგის სასკოლო განყოფილებაში აღზრდილი მოზრდილი ტანის შცემარე.
16. სანერგე – ფართობი, სადაც ხდება ნარგავების შემქმნელ სახეობათა სარგავი შასალის მოშენება. სანერგე შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი.
17. სპეციალური გამოკვლევა – კორომების სანიტარიული მდგრადარეობის დადგენის, მავნებელ-დაავადებათა გამოკლენის, აღრიცხვისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული კვლევა.
18. ფუტეტი ხე – ფუტეტი, დამპალი და გამოფიტული ხე.
19. მირნაყარი ხე – წაეჭული ხმელი ხე, მიწაზე დაყრილი მოთხრილ-მოტეხილი, ქარქეული, თოვლტეხილი მერქანი, კრაგავლილი მოსაქრელი ხეების ტერიტორიიდან გამოუწიდავად დარჩენილი მერქანი, აგრეთვე ხიდან ჩამოცევილი ტოტები, ფიჩი.
20. ჭრა – მწვანე ნარგავების მოვლითი და სპეციალური მიზნით ჭრა.
21. ხმობადი ხე – ხე, რომლის ღეროს ერთი მესამედი გამზიარია.
22. რჩეული ხე – ჯანსაღი, სწორდეროიანი, ტოტებისა და როკებისგან გაწმენდილი ხე, კარგად ფორმირებული ვარჯით.
23. მწვანე ნარგავის დამზადება – ზეზეური ხის მოკრა და/ან მირნაყარი მერქნის ტერიტორიიდან ამოაღება და გამოზიდვა.
24. დამზადებული მწვანე ნარგავების მიღება-ჩაბარების დოკუმენტი (შემდგომში „დოკუმენტი“) – დასაწყობებული მწვანე ნარგავების გადაზიდვის დოკუმენტი გაცემული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.
25. უფლებამოსილი ორგანო – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი).
26. საშეშე ხე – ხე მიეკუთვნება საშეშე კატეგორიას, თუ მისი ღეროს დაუზიანებელი ნაწილის სიგრძე შეადგენს 4 მეტრზე ნაკლებს.
27. სამასალე ხე – ხე მიეკუთვნება სამასალე კატეგორიას, თუ ხის ღეროს დაუზიანებელი სწორი ნაწილის სიგრძე განტოტვამდე შეადგენს 4მ-ს და მეტს.
28. საფრთხის შემცველი ხე – ზექმელი, მოტეხილი და მომაკვდავი ხე, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშ საფრთხეს უქმნის ადამიანს, პირუტყვს ან შენობა-ნაგებობას.
29. რჩეული ხე – ჯანსაღი, თესლით წარმოშობილი, სწორდეროიანი, ტოტებისა და როკებისგან მაქსიმალურდ გაწმენდილი ხე კარგად ფორმირებული ვარჯით. როგორც წესი, რჩეული ხის გამოვლენა ხდება გამოხმირვითი ჭრის ხნივანების პერიოდში.
30. დამზარე ხე – ის ხე, რომელიც ხელს უწყობს რჩეული ხის ღეროს გაწმენდას ტოტებისგან, ღეროსა და ვარჯის ფორმირებისა და ნიადაგის დაცვის ფუნქციის გაუმჯობესებას.
31. მავნე ხე – უნდა მიეკუთვნოს:
- ა) ხე, რომელიც ხელს უშენს რჩეული და დამზარე ხის ზრდა-განვითარებას, ასევე ზეხმელი, მოტეხილი და მომაკვდავი ხე;
- ბ) დაგრეხილი, დიდნუქრიანი, ძლიერ გამარჯლული ხე, მირიდან შეტოტვილი ვარჯით, თუ ასეთი ხე კარომში არ ასრულებს სხვა რაიმე სასარგებლო ფუნქციას, ან/და მისი მოჭრით არ შეიქმნებოდა დიდი ფარჯერები (სიცოცხლისთვის საშიში, რომელიც საფრთხეს უქმნის შენობებს და ა.შ);

გ) კორომში შერეული არასასურველი მერქნიანი სახეობა, თუ ის ხელს უმღის რჩეული და დამსხმარე ხის ზრდა-განვითარებას და მისი მოშორება არ გამოიწვევს კორომის 0,5 სიხშირემდე დაბლა დაყვანას.

მუხლი 3. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებები

1. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებათა განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) სპეციალური გამოკვლევის მასალები;

ბ) მწვანე ნარგავების აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გამოვალისწინებული სხვა საფუძველი.

2. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებს ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“.

3. სპეციალურ გამოკვლევას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“.

4. მწვანე ნარგავების მოვლითი ღონისძიებებია:

ა) სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე მწვანე ნარგავების დაცვა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის გამომწვევი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებისაგან მიოღოვიური და ქიმიური საშუალებებით;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები;

გ) მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების დაგეგმვა.

მუხლი 4. მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების განსახორციელებლად ხეების მონიშვნა და გამოყოფა

1. ხეების ერთეულად შენიშვნა მოვლითი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ მიერ.

2. დასამზადებელი მწვანე ნარგავების აღრიცხვისთვის აუცილებელია პირველ რიგში მოინიშნოს ფაუტი, ზემოქმედი, ხმობადი, გადაბეჭრული, საფრთხის შემცველი, მრუდედურითი და მავნებლებით დაზიანებული ხეები.

3. დამსადებული მწვანე ნარგავების აღრიცხვა წარმოებს ამ წესის დანართი №2-ის შესაბამისად.

4. მწვანე ნარგავების განთავსების ტერიტორია ფიქსირდება GPS კოორდინატებით. ძირნაყრი ხეების მოცულობა დაინდება ფაქტობრივად გამოზიდული მოცულობის შესაბამისად.

5. მოსაჭრელი ხეების მონიშვნისას ერთეულად აღრიცხვას კეცემდებარება 8 სმ და მეტი ტაქსაციური დიამეტრის ხეები (თითოეული ხის მოცულობის მიხედვით). ჭრაში დანიშნულ ხეებზე თვალთახედვის არეში, მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1,7 მეტრამდე სიმაღლეზე კეთდება მონიშვნა შეკვეთით ფერის საღებავით.

6. აღრიცხვის უწყისის ერთი ეგზემპლარი ინახება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრში“.

7. ჭრა არ ხორციელდება, როდესაც აღრიცხვის უწყისში ხეების მოცულობა არ შეესაზღება ხეების ფაქტობრივ მოცულობას. ასეთ შემთხვევაში ჭრა ხორციელდება ახალი აღრიცხვის საფუძველზე.

მუხლი 5. მწვანე ნარგავების მოვლა მიოღოვიური, ქიმიური და სხვა სპეციალური საშუალებებით

1. ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა სპეციალური საშუალებებით მწვანე ნარგავების მოვლა ხორციელდება სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე დასახულ ღონისძიებათა მიხედვით.

გამოკვლევას ატარებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“.

2. სპეციალური გამოკვლევა მიზნად ისახავს:

ა) ხევბის სანიტარიული მდგრამარების დადგენის;

ბ) მაცნებელ-დავადებათა გამოვლენას, აღრიცხვას, მათი გავრცელების მასშტაბებისა და განვითარების ტენდენციების დადგენასა და მათთან ზრძოლის რეკომენდაციებს.

3. მავნებელ-დავადებათა წინააღმდეგ გამოსაყენებელი ხილოგორი, ქიმიური და სხვა სპეციალური სამუალებების წუსა და მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 6. მწვანე ნარგავების ტერიტორიის ხანძრისგან დაცვის მოთხოვნები

1. ცეცხლის დანთება აკრძალულია ხევბის ვარჯის ქვეშ. წიწვიანი მოზარდი ან ქველ ნახანძრალებში, მწვანე ნარგავების ტერიტორიაზე დაზიანებულ, ქარქულ ან ქარტებილ ადგილებში, მოპოვების ნარჩენებიდან გაუწმენდავ. გამოუზიდავად დატოვებული ხევბის და გამხმარმალისიან ადგილებში.

2. ნახანძრალი ტერიტორიის აღდგენითი ღონისძიებები ხორციელდება აღდგენის პროცესით.

3. მწვანე ნარგავების ტერიტორიაზე ხანძრის ლიკვიდაციას ახორციელებს შესაბამისი სამსახური.

მუხლი 7. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებები სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში

1. სტიქიური მოვლენის (ხანძრი, ქარი, თოვლი, ზვავი, მეწყერი და სხვა) ან სხვა მასშტაბურ სტიქიური, ბიოლოგიური, გლობალური, ჰაელოგიური და სხვა) გაუთვალისწინებელ შემთხვევებში უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებები ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში განხორციელებულ ჭრებზე არ ვრცელდება ამ წესით დადგენილი ჭრის მოთხოვნები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“ მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით ვალდებულია განახორციელოს ჭრები მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დგება შესაბამისი აქტი.

მუხლი 8. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების დაგეგმვა

1. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების ღონისძიებები, არსებული საშუალებების გათვალისწინებით იგეგმება მწვანე ნარგავების აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალებისა და სპეციალური გამოკვლეულების საფუძველზე.

2. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების ღონისძიებებს ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“.

3. დაგეგმილ ტერიტორიაზე უნდა შედგეს მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების პროცესი, რომელსაც ადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის კოთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კურონიმიებისა და ქონების მართვის სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ.

4. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების პროექტი უნდა მოიცავდეს განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალსა და ფინანსურ ხარჯთაღრიცხვის.

5. აღდგენის ქვემდებარება:

ა) ნახანძრალები და ასევე სხვა მიზეზით განადგურებული როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნურად გაშენებული მწვანე ნარგავების ფართობები;

ბ) ფართობები, რომელთა ბუნებრივ-კლიმატური პირობები იძლევა მწვანე ნარგავების აღდგენის საშუალებას;

გ) დეგრადირებული კორომები, რომლებიც საჭიროებს რეკონსტრუქციას.

მუხლი 9. აღდგენისა და გაშენების ფორმები

1. აღდგენის ფორმებია:

ა) ბუნებრივი განახლებისთვის ხელშეწყობა;

ბ) აღდგენა თესვით;

გ) აღდგენა დარგვით.

2. გაშენების ფორმებია:

ა) გაშენება ნერგების დარგვით;

ბ) გაშენება თესვით.

3. მწვანე ნარგავების აღდგენის ფორმები შეიძლება ეკოლოგიური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე.

მუხლი 10. მწვანე ნარგავების აღდგენის დაპროექტება

1. დაპროექტებას ქვემდებარება:

ა) კულტურების გაშენება;

ბ) სანურგებების მოწყობა;

გ) დაცვითი ნარგავების გაშენება;

დ) დეგრადირებული კორომების, კოსისტემებისა და ლანდშაფტების რეკონსტრუქცია;

ე) ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები.

2. მწვანე ნარგავების აღდგენის პროექტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროექტის შედგენის საფუძველსა (ბრძანება, ხელშეკრულება და ა.შ.) და მიზანს;

ბ) აღდგენის დაქვემდებარებული ფართობის დეტალურ დახასიათებას: ადგილმდებარეობის, საზღვრების, მიმდებარე ტერიტორიებისა და ბუნებრივი პირობების (კლიმატი, ნიადაგები და სხვ.) მითითებით;

გ) შერჩეული სახეობის ბიოპანიკურ და ბიოეკოლოგიურ თავისებურებათა დახასიათებას;

დ) შერჩეული სახეობის ენტო და ფიტომავნებლების დახასიათებასა და მათ წინააღმდეგ ზრდოლის რეკომენდაციებს;

ე) საპროექტო ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობების, პარამეტრებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

მუხლი 11. სარგავი მასალა

მწვანე ნარგავების აღდგენისთვის სარგავ მასალად შეიძლება გამოყენებულ იქნას:

ა) ნათესარი;

ბ) ნერგა;

გ) კალამი;

დ) ფეხსვის ნაბარტყები.

მუხლი 12. მწვანე ნარგავების ამოღება-გადარგვა

1. საქიოროების შემთხვევაში შესაძლებელია მწვანე ნარგავების ამოღება-გადარგვა.

2. ამოღება-გადარგვას ექვემდებარება:

ა) წიწვოვანი სახეობები ღეროს მაქსიმალური დიამეტრით 16 სმ (დიამეტრი იზომება 1.3 მ სიმაღლეზე);

ბ) ფოთლოვანი სახეობები ღეროს მაქსიმალური დიამეტრით 18 სმ (დიამეტრი იზომება 1.3 მ სიმაღლეზე).

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხევების გადარგვას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომიტული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“.

მუხლი 13. განსაკუთრებული მოთხოვნები მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების გამხორციელებისას

1. მცენარეთა სახეობების შერჩევასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები უნდა სატარდეს მიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობები შეირჩევა უპირატესად იმ ადგილობრივი სახეობებისგან, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული გარემო პირობებისთვის.

3. სანურგები სარგავი მასალის გასაზრდელი ასორტიმენტი შეირჩევა გასამწვანებელი ფართობებისა და სანურგის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად.

4. არაენდემური მცენარეების გაშენებისთვის (ინტროდუქცია) მცენარეთა სახეობების შერჩევა უნდა მოხდეს მათი ბუნებრივ-კლიმატური და სხვა თვისებების შესწავლით, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ სახეობებსა და სხვა ფაქტორებზე.

5. აღდგენილი ან/და გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხაზგრძლივობა, ასევე სხვა მახასიათებლები განისაზღვრება აღდგენის პროცესში.

6. აკრძალულია გენეტიკურად მოდიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალების, მცენარეების და/ან მათი ნაწილების გამოყენება მწვანე ნარგავების აღდგენის მიზნით.

მუხლი 14. ხის შეფასება

1. ხის მოვლის ღონისძიებების გეგმის შესადგენად, წინასწარი შესწავლა წიმნავს ისეთი ღონისძიებების განსაზღვრას, რომელთა შედეგად მიღწეული იქნება სასურველი შედეგი.

2. ჯეგმა უნდა მოიცავდეს შემდევ პუნქტებს:

ა) ხის სპეციფიკური მონაცემების გათვალისწინებას;

ბ) ხის დაზიანებული ნაწილების (ფულური, გამშმარი ტოტები, სხვადასხვა უარყოფითი ზემოქმედებით მიყენებული ზიანი, მაგ.: სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი) ადგილების აღრიცხვას;

გ) სატრანსპორტო მიმოსვლისგან ხის საარსებო გარემოს დაცვის ღონისძიებებს;

დ) ხის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, მოვლის ღონისძიებების განსაზღვრას;

ე) ხის მოვლის კონცეფციის შემუშავებას;

ვ) შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემებით საჭირო გააწერისების წარმოებას;

ზ) მონიტორინგის ჩატარების და პერიოდულობის განსაზღვრას. შეგროვებულია მონაცემების დოკუმენტაციურად გაფორმება წარმოებს შესაბამის სააღრიცხვო რეესტრში (კატალოგში).

3. მოვლის საჭიროება ხის მოვლის ღონისძიებები წარმოადგენს ბუნებრივი ზრდის პროცესში ხელოვნურ ჩარევას. მოვლის ღონისძიებების მაქსიმალურად შეზღუდვის უზრუნველსაყოფად გარკვეული პერიოდულობით აუცილებელია ხეების მდგრადი მონიტორინგი, რათა დადგინდეს, არის თუ არა საჭირო განსაზღვრული ღონისძიების ჩატარება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება ღონისძიების ჩატარების პერიოდი. აღნიშნული პროცედურა წარმოადგენს პროფესიონალური და კვალიფიციური შეფასების წინაპირობას. გასხვლა-ფორმირების ღონისძიებები, რომლებიც ხის ვარჯის სასურველი ფორმით ზრდა-განვითარებას ემსახურება, სასურველია ადრეულ ეტაპზე და დროულად განხორციელდეს.

მუხლი 15. ხეების სხვლა-ფორმირება

1. ხეების ფორმის არასასურველი განვითარების თავიდან ასაცილებლად, ასევე ხმელი და სამიმი ტოტების მოცილების მიზნით ხორციელდება ხეების სხვლა-ფორმირება.

2. ხეების სხვლა-ფორმირებას ახორციელებს არასამეტარმეო (არაკომერციული) ოურიდიული პირი „ლანქისუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“ ან კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული ფიზიკური ან იურიდიული პირები ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ერთჯერადი მავნე ხეების ჭრა, რომელიც საფრთხეს უქმნის შენობა-ნაგებობას და ადამიანის სიცოცხლეს.

მუხლი 16. ხეების გამშმარი ტოტებისგან გაწმენდა

სატრანსპორტო სამუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ხეები უნდა გაიწმინდოს ხმელი და გადატეხილი. წერილი ზომის (დიამეტრი 3 სმ) ტოტებისგან.

მუხლი 17. ხის ვარჯის მოვლა

ხის ვარჯის მოვლა გულისხმობს ხეების გადახლართული, მოტეხილი ტოტებისგან ან ისეთი ტოტებისგან გამშენდას, რომლებიც ერთმანეთს შეიძლოდა კვრის, აგრეთვე, ხმელი ტოტების მოცილებას და შეჭრას. ხის ვარჯისთვის საჭირო განათების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 18. ხის ვარჯის ფორმირება საჭირო განათების მიღების უზრუნველსაყოფად

ხის ვარჯის საჭირო განათებით უზრუნველყოფის მიზნით ხის ფორმირება ხდება უმეტესად ტოტების შეკრით გარეთა შერიდან – წვეროსეენ. ხის გარშემოწერილობის მიხედვით არჩევენ წვრილი და მსხვილი ტოტების სუსტ (5%), სამუალო (10%) და ძლიერ (15%) გამოსმირვას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა ღონისძიებამ არ გამოიწვიოს ხის დაზიანება ან/და მისი ფორმისა და იერსახის მნიშვნელოვანი ცვლალება.

მუხლი 19. ხის წანაზარდები

ხის დეროსა და განმტკიცებზე წარმოქმნილი ან/და არსებული წანაზარდები უნდა მოცილდეს ბრტყელად, მთელ დიამეტრზე.

მუხლი 20. გადატელვა

1. გადაბელვა ძირითადად ხდება, როცა ხე-მცენარეები საფრთხეს უქმნის ადამიანებს, შენობა-ნაგებობებს, როცა მოსალოდნებლია ხის გადატეხვის საშიროება, ასევე იმ შემთხვევაში როდესაც ის სელს უშძლის სხვა ხეების ზრდა-განვითარებას.

2. გადაბელვის ადგილი აუკილებლად უნდა დაიფაროს ზეთიანი საღებავით ლპობის პროცესის შეჩერების მიზნით.

მუხლი 21. ვარჯის შემადგენელი შიდა ტოტების გასხლვა

დაზიანებული ტოტები ან/და ხის ვარჯის ნაწილი, სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვით და ხის საარსებო გარემოს შესაბამისად უნდა დამოკლდეს. ვარჯის დაუზიანებელი ნაწილი კი შემოკლებულ ნაწილთან მეფარდებით უნდა შეიკრას ან გამოიხვიროს (მცენარის თვის საჭირო განათების მისაღებად). ტოტის გასხლვა იმ ადგილას ხორციელდება, სადაც გასასხლავი ტოტის დიამეტრი შეადგენს დასატოვებელი ტოტის 1/3-ს.

მუხლი 22. ძლიერ გასხლული ხეების რეაბილიტაცია

ხის მთლიანი ვარჯი, სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოებიდან და ხის საარსებო გარემოდან გამომდინარე, უნდა შემოკლდეს. შემოკლება დასაშვებია ვარჯის გარშემოწერილობის 20%-ით. ამ ღონისძიების შემდეგ ვარჯმა უნდა შეძლოს შემდგომი განვითარება.

მუხლი 23. ვარჯის ჭრა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

ხეებს, რომლებიც ძლიერ არის დაზიანებული და საფრთხეს უქმნიან ტრანსპორტის მოძრაობას, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, საჭიროა შეუმოკლდეს მსხვილი და დაზიანებული ტოტები.

მუხლი 24. გამონაზარდებანი მოკლედ შეკრეპილი ხეების შემდგომი მკურნალობა

ახლად ამოზრდილი წანაზარდები, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნდა განვალყოფეს ან შემოკლდეს, შეჭრა უნდა შესრულდეს უკვე განხორციელებული ჭრის აღვილიდან ზემოთ, მაგრამ არა ღონისძიების ან/და დაზიანების შედეგად გაჩენილი ჭრილობის შეხორცების ადგილას. ე.წ. მკურნალობა უნდა ჩატარდეს სისტემატურად 3-5 წელიწადში ერთხელ. ჭრები ისე უნდა შესრულდეს, რომ წლების მანძილზე შეიქმნას ახალი ვარჯი, რომელიც გვერდითი ტოტებიდან ან სხვა აქტიურ მიძინებული კვირტებიდან აღმოცენდება.

მუხლი 25. მოსაჭრელი ხეების მონიშვნა

1. ამ წესის მიზნებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაჭრელი ხეები უნდა დაიყოს და დაინომროს არასამტწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის" მიერ.

2. მოსაჭრელი ხეების მონიშვნას და მათი მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისში შეტანას ახორციელებს არასამტწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი".

3. მონიშვნა ხდება მკვეთრი ფერის სალებავით. მოსაჭრელ ხეებს მიენიჭება (სალებავით ხეზე დაიტანება) რიგითი ნომერი.

4. ამოსაღები, ამოღება-გადარგვას დაქვემდებარებული მწვანე ნარგავების მონიშვნა და აღრიცხვა ხდება ამ მუხლით დადგნომილი წესით.

მუხლი 26. ჭრის განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანიზაციები

1. ამ წესით გათვალისწინებულ ჭრას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩჩუტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“ (შემდეგ, „მომსახურების ცენტრი“) განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

2. „მომსახურების ცენტრის“ მიერ უნდა მომზადდეს მოსაქრელ ხესტან/ხევბთან დაკავშირებით დასკვნა:

3. დასკვნა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა) შედის თუ არა მოსაქრელი ხე/ხევბი მომსახურების ცენტრის მიერ მონიშნულ მოსაქრელი ხევბის სიაში ან უკვემდებარება თუ არა ხე-მცენარე მოჭრას, გადაბელვას, სხვლა-ფორმირებას;

ბ) ხის კატეგორიას (სამასალე, საშეშე);

გ) ხე-მცენარეების მოჭრის ან მოპოვების ადგილის შესახებ (მისამართის ზუსტი ადგილმდებარების მითითებით);

დ) ხე-მცენარეებიდან მიღებული მორის რაოდენობა, თითოეული მორის ჯიში (სახეობა), მორის სიგრძე, მორის დიამეტრი წვრილი ბოლოდან, ხოლო ხე-მცენარეების (მათ შორის, მწვანე ნარგავების) შემთხვევაში მათი ჯიში (სახეობა), რაოდენობა, ხე-მცენარეების დიამეტრი, რომელიც იზომება ფესვის ყლოდან 10 სმ-ის სიმაღლეზე;

ე) მოჭრილი ხე-მცენარეების სავარაუდო მოცულობას (კმ.მ.) და განთავსების ადგილის ზუსტ მისამართს;

ვ) ხე-მცენარეების მესაკუთრის მონაცემების (ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწილდება და საიდენტიფიკაციის კოდი) შესახებ.

მუხლი 27. განცხადების შეტანა

მოსაქრელი ხეების თაობაზე განცხადების შეტანის უფლება აქვთ ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს, რომელზედაც სავარაუდო მოსაქრელმა ხემ/ხეებმა შეიძლება ნეგატიური ზემოქმედება გამოიწეოს.

მუხლი 28. მოსაქრელი ხის/ხეების მოჭრის ვადა

ჭრა უნდა გახორციელდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩჩუტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ მიერ მოსაქრელი ხის/ხეების უწყისში შეტანიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 29. მოჭრილი მწვანე ნარგავების ან ჩამორთმეული ან/და იშპექტირებით გამოვლენილი უკანონობის მოპოვებული მწვანე ნარგავების განთავსება, გასხვისება (გადაცემა) ან განკარგვა

1. ამ წესით გათვალისწინებული ჭრების შედეგად მიღებული ან ჩამორთმეული ან/და იშპექტირებისას გამოვლენილი, უკანონობის მოპოვებული მერქნული რესურსი (ფუნქციადაკარგული მწვანე ნარგავები – საშეშე ან/და სამასალე მურქანი) წარმოადგენს ლანჩჩუტის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მწვანე ნარგავები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩჩუტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ მიერ შეიძლება დასაწყობდეს ლანჩჩუტის მუნიციპალიტეტის მერის შემთხვევაში სამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

3. ლანჩჩუტის მუნიციპალიტეტის შერის ინიციატივით ან/და მოსახლეობის მოთხოვნით, ფუნქციადაკარგული მწვანე ნარგავების მოპოვების შედეგად მიღებული მერქნული რესურსის (საშეშე

ან/და სამასალე მერქანი) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უსასყიდლოდ გადაცემა, მიზანშეწონილია განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, ლანჩხუთის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე, საქველმოქმედო პროფილის მქონე ორგანიზაციაზე, კულტურული მონასტრებზე, სტიქიური უბედურებებიდან დაზარალებულ ოჯახებზე (რომელთაც დაუზიანდა საცხოვრებელი ფართი), სხვა არასამეწარმეო მიზნით შემქნილ ორგანიზაციებზე.

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია შექმნას სამუშაო ჯგუფი და განსაზღვროს ამ წესით გათვალისწინებული ქრების შედეგად მიღებული ან ჩამორთმეული ან/და ინსპექტირებისას გამოვლენილი, უკანონოდ მოპოვებული მერქნული რესურსის (ფუნქციადაკარგული მწვანე ნარგავების – საშეშე ან/და სამასალე მერქნის) (გასხვისების) გადაცემის წესი, მიმღები პირების კატეგორიები, აღნიშნული ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი წარმოადგენს მერქნული რესურსის გადაცემის საფუძველს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის სახელწოდება, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებები განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მრავალებით.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტი აღნიშნული მწვანე ნარგავების განვარჯვა ხდება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით.

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“ უზრუნველყოფს გადასაცემი მერქნული რესურსის (საშეშე ან/და სამასალე მერქანი) ტრანსპორტირებას და მისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას დასაწყობებას.

მუხლი 30. მოსაჭრელი ხეების აღრიცხვის უწყისის წარმოება

1. მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისი (დანართი №2) დგება მოსაჭრელი ხეების ადგილის მოსაზღვრე ტერიტორიისგან გამოჯვნისთვის, ხეების აღრიცხვის, მონიშვნის, რაოდენობისა და მოცულობის განსაზღვრისთვის.

2. აღრიცხვის უწყისი ადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“.

3. კრა ხორციელდება მხოლოდ აღრიცხვის უწყისის შედეგების შემდგომ.

მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისის
ლანჩისტუთის მუნიციპალიტეტი

ადგილმდებარეობა _____

ფართობი _____ ჰა

GPS (ჯიბიუს) კოორდინატები: _____

მოსაჭრელი ხეების რიგითი ნომერი	მერქნიანი სახეობა ჯიში	მერქნიანი სახეობის კატეგორია		დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე (კმ)	სიმაღლის თანრიგი	მოცულობა (ტ)	შენიშვნა
		სამასალე	საშეშე				

აღრიცხვის უწყისის შემდგენი: _____

აღრიცხვის უწყისის შედგენის თარიღი _____

შეთანხმებულია _____

ბ.ა.

დამზადებული მწვანე ნარგავების მიღება-ჩაბარების დოკუმენტი
N-----

1. დაინტერესებული პირი _____

(იურიდიული ან ფიზიკური პირი, საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი, მისამართი;
წარმომადგენლის შემთხვევაში: სახელი, გვარი, მანდატილობის გაცემის თარიღი, ნომერი)

2. მწვანე ნარგავის სახეობა (ჯიში) _____ მოცულობა _____ ებ.მ

3. გადაზიდვის (დანიშნულების) ადგილი _____

4. სატრანსპორტო საშუალება _____

(ტრანსპორტის სახეობა, სახელმწიფო ნომერი)

5. გადაზიდვის პირი _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

6. დაინტერესებული პირი: _____ ხელმოწერა

(სახელი, გვარი)

7. დოკუმენტის შეფსების დრო და თარიღი: _____ სთ. _____ წთ.

„-----“ „-----“ წელი.

8. დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირი: _____ ბ.ა ხელმოწერა

(სახელი, გვარი)